

„სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

„სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს მიზანია პროექტ „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფარგლებში მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი პროექტების შესწავლა სამართლებრივი და ტექნიკური კუთხით.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. დებულება შექმნილია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად და განსაზღვრავს საჩხერის მუნიციპალიტეტის „სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს (შემდგომში „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“) კომპეტენციას, მისი შექმნისა და საქმიანობის წესს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობის და თვითმმართველობის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების მიზნით.
2. „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს შემადგენლობაში შედიან საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოხელეები და საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები პროექტის „სამოქალაქო ბიუჯეტი“-თ გათვალისწინებული ზონების მიხედვით.
3. „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს შემადგენლობაში შედის არანაკლებ 7 წევრი და მდივანი.
4. „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს სხდომა შეიძლება გაიმართოს თუ მას ესწრება მინიმუმ 4 წევრი.
5. „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს შემადგენლობა განისაზღვრება საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება).

მუხლი 2. „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს უფლება-მოვალეობა

1. „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“:
 - ა) განიხილავს მოსახლეობის მიერ ინიცირებული პროექტებს;
 - ბ) ახდენს წარმოდგენილი პროექტების შესწავლას სამართლებრივი, ტექნიკური, ფინანსური და სხვა კუთხით;
 - გ) უფლება აქვს კოორდინატორებსა და სამოქალაქო საბჭოს წევრებს მოსთხოვოს ინფორმაცია მოსახლეობის ინფორმირების შესახებ გაწეულ სამუშაოებზე პროექტის „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფარგლებში.
2. „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს ვალდებულება:
 - ა) შეიკრიბოს თვეში მინიმუმ ერთხელ;
 - ბ) საჭიროების შემთხვევაში პროექტის ავტორს მიაწოდოს ინფორმაცია წარმოდგენილ პროექტში არსებული ხარვეზების ან შეუსაბამობის შესახებ.;
 - გ) დაახარისხოს და მოახდინოს წარმოდგენილი პროექტების კლასიფიკაცია (მაგალითად : ინფრასტრუქტურული; განათლების; სპორტის; კულტურის და სხვა მიმართულებით);

დ) არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 სექტემბრისა ჯგუფი ვალდებულია „სამოქალაქო საბჭო“-ს მიაწოდოს შემოსული პროექტები შესაბამისი დასკვნებით თითოეულ შემოსულ პროექტზე.

მუხლი 3. „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს სტრუქტურა და საქმიანობის წესი

1. „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს საქმიანობას ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის გამგებელი, შემდგომში ჯგუფის უფროსი.
2. „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს უფროსი უფლებამოსილია:
 - ა) უხელმძღვანელოს ჯგუფის მუშაობას, მოიწვიოს და გაუძღვეს „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს გჯუფის სხდომებს.
 - ბ) კოორდინაცია გაუწიოს „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს საქმიანობას.
 - გ) ხელი მოაწეროს „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს სხდომის ოქმებს.
 - დ) დაამტკიცოს „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს დღის წესრიგი.
 - ე) არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე მოიწვიოს „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს სხდომა და არანაკლებ 2 დღით ადრე აცნობოს აღნიშნულის შესახებ ჯგუფის წევრებს.
 - ვ) სხდომა გამოაცხადოს გახსნილად, წარადგინოს დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები და სხდომა გამოაცხადოს დახურულად.
3. „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს საქმიანობის საორგანიზაციო საკითხებს უზრუნველყოფს ჯგუფის მდივანი, რომელიც ადგენს დღის წესრიგს და დასამტკიცებლად წარუდგენს ჯგუფის უფროსს, ამასთანავე:
 - ა) აგროვებს მოსახლეობისაგან შემოსულ პროექტებს;
 - ბ) ადგენს სხდომის ოქმს, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ხელმძღვანელი, მდივანი და ჯგუფის წევრები.
 - გ) სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში აწვდის ინფორმაციას პროექტის ავტორს „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს მიერ პროექტში გამოვლენილი ხარვეზებისა და შეუსაბამობების შესახებ.
4. „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს წევრი:
 - ა) მონაწილეობას ღებულობს ჯგუფის სხდომებში.
 - ბ) აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებებს და შენიშვნებს წარმოდგენილი პროექტის ირგვლივ;
 - გ) ხელს აწერს ჯგუფის სხდომის ოქმს.
1. საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შესაძლებელია განხორციელდეს „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“-ს წევრების ცვლილება.

მუხლი 4. ანგარიშვალდებულება

1. „პროექტების შემსწავლელი ჯგუფი“ ანგარიშვალდებულია საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.